



2009

## მინისტრის ხელვა

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო  
2009

**ს ა რ ჩ ე ვ ი**

შ ე ს ა ვ ა ლ ი ..... 3

თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები 2009 წლისთვის..... 4

თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია..... 4

პერსონალი, განათლება და წვრთნა ..... 6

შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის განვითარება..... 8

ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია..... 10

დასკვნა ..... 12

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

„მინისტრის ხელვა 2009“ წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სახელმძღვანელო დოკუმენტს 2009 წლისათვის. იმის გათვალისწინებით, რომ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარეობს თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული და სახელმძღვანელო დოკუმენტების საფუძვლიანი გადახედვის პროცესი, წინამდებარე დოკუმენტი იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიარაღებული ძალების განვითარების ერთწლიან პერსპექტივაში. იგი ადგენს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების ერთწლიან პრიორიტეტებს, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და შეიარაღებულ ძალებზე დაკისრებული მისიების შესასრულებლად.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს ყველა იმ ძირითად პრიორიტეტს, რომელიც გამომდინარეობს არსებული, სწრაფად ცვალებადი უსაფრთხოების გარემოდან, შესაძლო სამხედრო აგრესიისაგან თავდაცვის საჭიროებისა და ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის სხვა ამოცანებიდან. მასში ასახულია ერთი მხრივ, პრიორიტეტები ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო მეორეს მხრივ, ომის შემდგომი რეალობით ნაკარნახევი გადაუდებელი ღონისძიებები.

დოკუმენტში მოცემულ სხვა პრიორიტეტული მიმართულებების გარდა, 2009 წლის განმავლობაში სამინისტროს განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იქნება რუსეთის აგრესიის დროს დალუპული/დაზარალებული მოსამსახურეების/ოჯახებისადმი სოციალური ვალდებულებების შესრულების გაგრძელება, არსებული კანონმდებლობის

შესაბამისად და ომის დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სრული რეაბილიტაცია.

## თავდაცვის პოლიტიკის პრიორიტეტები 2009 წლისთვის

### თავდაცვის სისტემის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია

თავდაცვის მართვის სისტემამ უნდა უზრუნველყოს არსებული რესურსებისა და სამხედრო შესაძლებლობების ეფექტური და რაციონალური გამოყენება, რაც აუცილებელი წინაპირობაა ეროვნული სამხედრო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. თავდაცვის მართვის გაუმჯობესება და შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია მიზნად ისახავს დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების სრულყოფას, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების რაციონალურ გამოყენებას და მათზე ეფექტური კონტროლის განხორციელებას, თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებულ შტაბს შორის კოორდინაციისა და ურთიერთქმედების ამაღლებას. ამ მიმართულებით „მინისტრის ხელვა 2009“ გამოყოფს შემდეგ პრიორიტეტებს.

### ძირითადი პრიორიტეტები

- *„ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ თავდაცვის კომპონენტის გადახედვის პროცესის წარმართვა;*
- *თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის პროცესის ოპტიმიზაცია;*
- *შიდაუწყებრივი კოორდინაციის გაძლიერება;*
- *დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის (PPBS) დანერგვა.*

- ❖ „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ თავდაცვის კომპონენტის გადახედვა და დასრულება 2009 წლის შემოდგომისთვის. აღნიშნული პროცესის მხარდასაჭერად უწყებათშორისი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია;
- ❖ თავდაცვის სისტემის ეფექტურობის გაზრდისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, თანამშრომლობის გაფართოება სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რაც მოიცავს არასამთავრობო სექტორში თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხების კვლევისა და შესწავლის ტრადიციების განმტკიცების მხარდაჭერას, თანამშრომლობას „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ თავდაცვის კომპონენტის განახლებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის დახვეწის მიმართულებებით, ასევე არასამთავრობო სექტორში არსებული ექსპერტიზის გამოყენებას;
- ❖ თავდაცვის სამინისტროსა და გაერთიანებულ შტაბს შორის ურთიერთქმედების გასაუმჯობესებლად საჭირო ზომების მიღება თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის პროცესების კოორდინირებულად განხორციელებისათვის;
- ❖ დაგეგმვის, პროგრამირებისა და ბიუჯეტირების სისტემის (PPBS) შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია, PPBS-ის სტრუქტურული ერთეულების საბოლოო ჩამოყალიბება და მათი გამართული მუშაობისათვის საჭირო ზომების ეტაპობრივი განხორციელება, პროცესში ჩართული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება და PPBS-ის იმპლემენტაციის მხარდამჭერი სხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა;

- ❖ ღონისძიებების გატარება შესყიდვების სისტემის სრულყოფის და გრძელი და საშუალოვადიანი დაგეგმვის ერთიან პროცესში მისი სრული ინტეგრირების მიზნის მისაღწევად;
- ❖ უმაღლეს სამოქალაქო სასწავლო დაწესებულებებში თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე აკადემიური პროგრამების განვითარების მხარდაჭერა.

### **პერსონალი, განათლება და ჯვრთნა**

საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში პრიორიტეტულია ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენება და ამ სფეროში მენეჯმენტის თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ადამიანური რესურსები ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია თავდაცვის სისტემის განვითარებასა და ეფექტურად ფუნქციონირებაში.

#### **ძირითადი პრიორიტეტები**

- *სამხედრო განათლებისა და წვრთნების სისტემის სრულყოფა;*
  - *სამხედრო პერსონალის მართვის სისტემის რეფორმირება;*
  - *სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემის სრულყოფა.*
- ❖ თავდაცვის ეროვნული აკადემიის რეორგანიზაცია, მისი შესაძლებლობების განვითარება საქართველოს სამხედრო განათლების მოთხოვნების შესაბამისად;

- ❖ სერჟანტთა მომზადების სკოლის განვითარება და პროფესიული განვითარებისათვის საჭირო კურსების დანერგვა;
- ❖ სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროცესის გაგრძელება;
- ❖ შეიარაღებული ძალებში გაერთიანებული სწავლებებისა და წვრთნების პროგრამების დახვეწა და იმპლემენტაცია;
- ❖ წვრთნებისათვის აუცილებელი სიმულაციური შესაძლებლობების განვითარება;
- ❖ სამხედრო და სამოქალაქო პერსონალის მიერ უცხო ენის საჭირო დონეზე შესწავლის მიზნით, ადგილობრივი ენობრივი მომზადების ცენტრის ეფექტურობის ამაღლება და ენობრივი მომზადების შემდგომი სრულყოფა;
- ❖ სამხედრო მოსამსახურეთა მართვის სისტემის ძირეული რეფორმის იმპლემენტაციის დაწყება, რაც გულისხმობს სამეთაურო და საშტაბო თანამდებობების შესაბამისი კვალიფიკაციისა და წოდების სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტების, მათ შეფასების, დანიშვნა-გადანაწილების, პროფესიულ განვითარებას;
- ❖ სამხედრო იერარქიული პრინციპის დაცვისა და წოდებრივი სტრუქტურის ბალანსის აღდგენის მიზნით, თანამდებობრივი პრინციპით ანაზღაურებიდან

წოდებრივი პრინციპით ანაზღაურების სისტემაზე გადასვლის პროცესის გეგმაზომიერი განხორციელების დაწყება;

- ❖ თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო ოფისის ადამიანური რესურსების მართვის სისტემის თანმიმდევრული ოპტიმიზაცია. კერძოდ, კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, შეფასების, პროფესიული განვითარების, შენარჩუნებისა და დათხოვნის პროცედურების ეტაპობრივი დანერგვა;
- ❖ სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეებისათვის სოციალური პირობების გაუმჯობესების პროცესის გაგრძელება;

### **შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება**

ტერიტორიული თავდაცვის პრინციპის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის მუდმივი და უმთავრესი პრიორიტეტია. ქვემოთ მოცემული პრიორიტეტების მიზანია ყველა კრიტიკულ სფეროში ძალთა შესაძლებლობების პროპორციულად განვითარება, რაც უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას. ამ მიმართულებით “მინისტრის ხელვა 2009” გამოყოფს შემდეგ პრიორიტეტებს:

#### **ძირითადი პრიორიტეტები**

- *საჭარო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება;*
- *მართვისა და კონტროლის სისტემის გაძლიერება;*
- *დოქტრინების შემუშავება და დანერგვა;*

- თავდაცვითი შესაძლებლობების განვითარება;
  - მიღებული გამოცდილების (*Lessons Learned*) ანალიზი და მის საფუძველზე შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ინსტიტუციონალიზაცია;
  - სადაზვერვო შესაძლებლობების განვითარება.
- ❖ შეიარაღებულ ძალებში საჰაერო თავდაცვის სისტემის სრულყოფის გაგრძელება და ამ მიზნით, საჰაერო თავდაცვისა და კონტროლის შესაძლებლობების განვითარება;
  - ❖ მართვისა და კონტროლის სისტემის შემდგომი გაუმჯობესება და შეიარაღებული ძალებში C4ISR-ის შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარება;
  - ❖ შეიარაღებულ ძალებში დოქტრინების ერთიანი ბაზის შემუშავების დაწყება, რომელიც მოიცავს ბრძოლის წარმოების ყველა შესაბამის კომპონენტს;
  - ❖ შეიარაღებულ ძალებში ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების განვითარება;
  - ❖ რუსული აგრესიის დროს „მიღებული გამოცდილების“ სრული ანალიზის, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების თავდაცვის სისტემაში ასახვისა და გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი სისტემის („მიღებული გამოცდილების“) მუდმივ პრაქტიკაში დანერგვა და მისი ინსტიტუციონალიზაცია;
  - ❖ სამხედრო დაზვერვის სისტემის ეტაპობრივი ოპტიმიზაციის გეგმის შემუშავება;

- ❖ შეიარაღებული ძალების საბრძოლო და საბრძოლო მხარდაჭერის (კომუნიკაციები, სადაზვერვო, ლოგისტიკური, სამედიცინო, საინჟინრო და ა.შ.) შესაძლებლობების შემდგომი განვითარება;
- ❖ დოქტრინების შემუშავების პროცესში ჩართული პერსონალის განათლება და ამ პროცესის ინსტიტუციონალიზაციისათვის საჭირო ღონისძიებების ეტაპობრივი განხორციელება, ასევე კონფლიქტის დროს მიღებული გამოცდილების ასახვა შპ-ის დოქტრინების განვითარების მიმდინარე პროცესში;
- ❖ სამხედრო განათლების სისტემაში დოქტრინების ეფექტური დანერგვის ხელშეწყობა;
- ❖ შეიარაღებული ძალების საერთო მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, ფუნქციონირებადი „ოპერატიული მართვის ცენტრის“ განვითარება;
- ❖ შეიარაღებულ ძალებში კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესება;
- ❖ სამხედრო სამედიცინო სისტემის ოპტიმიზაცია/დახვეწა და სამხედრო მედიცინის შესაძლებლობების გაუმჯობესება;
- ❖ საქართველოს თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესის მხარდასაჭერად მეგობარი ქვეყნებიდან ჩამოსულ ექსპერტთა და მრჩეველთა რესურსების ეფექტურად გამოყენება;
- ❖ სამხედრო საჰაერო ძალების შემდგომი განვითარება;

- ❖ გაერთიანებულ შტაბსა და შეიარაღებულ ძალებში სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობის (CIMIC) სისტემის ეტაპობრივი განვითარება;
- ❖ შეიარაღებულ ძალებში ბირთვული, ბიოლოგიური, ქიმიური და რადიოლოგიური (NBCR) დაცვის შესაძლებლობების ეტაპობრივი განვითარება;
- ❖ რეზერვისა და მობილიზაციის ახალი კონცეფციის შემუშავება და განვითარება, აგვისტოში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით.

#### **ნატო-ში ინტეგრაციის მხარდაჭერა და ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია**

ნატო-ში ინტეგრაცია საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რომლის წარმატებით განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თავდაცვის სამინისტროს. ამ თვალსაზრისით, თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს შეიარაღებული ძალების ნატო-სთან თავსებადობის უზუნველყოფა წარმოადგენს, რაც გულისხმობს ღონისძიებების გატარებას ნატო-სთან თავსებადი, თანამედროვე და ექსპედიციონერული შესაძლებლობების მქონე შეიარაღებული ძალების ჩამოსაყალიბებლად. ამასთანავე, თავდაცვის სამინისტროს პრიორიტეტია ნატო-სთან თანამშრომლობის მიმდინარე და ახალი ფორმატების (ნატო-საქართველოს კომისია, ყოველწლიური ეროვნული პროგრამა ANP) ფარგლებში შემუშავებული მოთხოვნების შესრულება და ნატო-ს წევრ ცალკეულ სახელმწიფოებთან თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ახალ ეტაპზე აყვანა. ამ მიმართულებით, „მინისტრის ხელვა 2009“ გამოყოფს შემდეგ პრიორიტეტებს.

ძირითადი პრიორიტეტები

- ნატო-სთან თანამშრომლობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულება;
- თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია;
- საერთაშორისო სამშვიდობო და/ან ანტიტერორისტულ ოპერაციებში წვლილის შეტანა.

- ❖ ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულება და თავდაცვის სისტემაში მიმდინარე რეფორმების ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ❖ თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია პარტნიორ ქვეყნებთან;
- ❖ მუშაობის გაგრძელება საქართველოს მიერ ნატო-ს წინაშე PARP-ის ფარგლებში აღებული ვალდებულებებისა და „პარტნიორობის მიზნების“ შესრულების თვალსაზრისით;
- ❖ საერთაშორისო სამშვიდობო და/ან ანტიტერორისტულ მისიებში მონაწილეობის პოტენციალის შენარჩუნება/განვითარება;
- ❖ ყოველწლიურ ეროვნულ გეგმაში (ANP) თავდაცვის სამინისტროს კუთხით შესატანი ვალდებულებების შემუშავება და განხორციელება;
- ❖ თავდაცვის მიმართულებით, ნატო-საქართველოს კომისიის პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება და კომისიის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება.

## დ ა ს კ ვ ნ ა

ზემოაღნიშნული მიზნებისა და პრიორიტეტების განხორციელება აუცილებელია იმისათვის, რომ თავდაცვის სამინისტრო, გაერთიანებული შტაბი და მთლიანად საქართველოს შეიარაღებული ძალები მაქსიმალურად მზად იყვნენ ქვეყნის თავდაცვის წინაშე არსებულ და მოსალოდნელ საფრთხეებზე სათანადო რეაგირებისათვის, უზრუნველყოფილ იქნას ნატო-სთან თავსებადობის გაუმჯობესება და გაგრძელდეს ევროატლანტიკურ სივრცეში სწრაფი ინტეგრაცია. აღნიშნულის განხორციელებაში წარმატების მიღწევას მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თავდაცვის სექტორის ყველა შემადგენელი ერთეულის მჭიდრო და კოორდინირებული ურთიერთქმედება.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის განმავლობაში „ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის“ თავდაცვის კომპონენტის განახლების შემდეგ, საბოლოოდ გამოიკვეთება თავდაცვის სექტორის პრიორიტეტები და შესაბამისი სამხედრო შესაძლებლობების განვითარების ძირითადი მიმართულებები, თუმცა საჭიერო თავდაცვისა და ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების გაგვითარება მომდევნო წლებშიც რჩება მუდმივ პრიორიტეტად.